შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№24 (10.032)

9-16 ივლისი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ალოობა დაიწყო!

რა გამოწვევების წინაშე დგანან ფერმერები?

საქართველოს პურის ბელელად წოდებულ შირაქის ველზე ალოობა დაიწყო. წელს დედოფლისწყაროელი ფერმერები მარცვლეული კულტურების უხვ მოსავალს ელიან. დადებითი პროგნოზის მიუხედავად, პროგლემებმა მაინც იჩინა თავი. მეტეოროლოგიური პირობები ხორბლის მწარმოებლებისთვის მთავარ გამოწვევად რჩება - ამინდი განსაზღვრავს მოსავლის ავ-კარგიანობასაც და მის დროულ დაბინავებასაც. ჭარბი ნალექის გამო დედოფლისწყაროში ქერის მოსავლის აღება დაგვიანდა. ამიტომ ახლა ხორბალსა და ქერს ერთდროულად იღებენ. ამ ფაქტორმა კომბაინების დეფიციტი შექმნა. ყველა მარცვლეულის მწარმოებლის მიზანია, რაც შეიძლება მალე დააბინავოს მოსავალი, რათა წვიმამ არ მოუსწროს და არ გაუფუჭოს. ამიტომ მოსავლის ამღები ფერმერთა რიცხვი კომბაინების რაოდენობას მკვეთრად აჭარბებს.

„წელს შირაქში კარგი მოსავალია. ჰექტარზე 3-5 ტონას ვიღებთ, მაგრამ კომბაინები საკმარისი არ არის. ყველა ჯერ დიდ ნაკვეთშია წასული და პატარა მიწის ნაკვეთებისთვის ველარ იცლიან. არადა, ქერი თუ ახლა არ ავიღეთ, დაბლა მიწაში ჩაცვივდება და მოსავლის 50%-ს დავკარგავთ. ახლა ერთადერთი საფიქრალია, რომ წვიმა არ მოვიდეს და დროულად ავიღოთ ყველამ“-ამბობენ გლეხები.

ვიქტორ ჭუაძე პროფესიით მექანიზატორია. წელს მისთვის მეორმოცე ალოობაა. გამოცდილი სპეციალისტი წუხს, რომ ფასების მატების გამო ალოობის პროცესი ისეთი აღარაა, როგორიც წლების წინ იყო. სიხარული ახლა მოსავლის დაბინავებასა და რეალიზაციაზე ფიქრმა გაანეიტრალა. „თავთავიანი კულტურების მოყვანა ძალიან გაძვირდა. საწვავზე და საპოხ მასალებზე ფასების მატებამ მექანიზაციის მომსახურების ფასებიც გაზარდა. ნაკვეთის მოხვნიდან დაწყებული და მოსავლის აღებით დამთავრებული, ფერმერს ხორბლის წარმოება ძალიან გაუძვირდა, ამიტომ ეს პროდუქტზეც აისახება“.

იდენტურად საუბრობენ თავად ფერმერებიც. ზოგიერთი წელს თავს კარგი მოსავლით იწონებს და კმაყოფილია, ზოგი კი აგრარულ სექტორში შექმნილ პრობლემებზე საუბრობს და ამბობს, რომ მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაც უნდა გაძლიერდეს და სერვის ცენტრების ტექნიკით შევსებაც განხორციელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემათა ჯაჭვი კიდევ უფრო დამძიმდება და შესაბამისად, მათი დაძლევაც დროში გაიწელება.

ნიკოლოზ ბენიაიძე: „წელს განსაკუთრებული წელია, რადგან შირაქის ველზე გვალვა იყო. ამას დაემატა სხვა პრობლემებიც: მოიმატა მავნებლებმა- მინდვრის თაგვმა, კალიამ. მართალია, კალიების წინაღმდეგ წამლობა პერმანენტულად მიმდინარეობს, მაგრამ საკმარისი არაა. რაც შეეხება მინდვრის თაგვს- წელს რამდენჯერმე შევიტანე წამალი, მაგრამ არ უშველა. ბევრ ფერმერს წელს მოსავალი თაგვებმა მოუმკეს. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ წელს თავთავიანი კულტურების კარგი მოსავალი და ფერმერებისთვის იღბლიანი წელია“.

ფერმერების განმარტებით, ბოლო 2 წელიწადში დიზელზე ფასი 200%-ითაა მომატებული, ასევე გაძვირდა ტექნიკის მომსახურება, პესტიციდები, სასუქი-ეს ყველაფერი ერთ მთლიანობაში ქმნის ჯაჭვს და ფერმერის ხარჯებს ზრდის. მარცვლეული კულტურების ფასი თვითღირებულებას ვერ ანაზღაურებს.

დედოფლისწყაროელი ფერმერების განცხადებით, წელს 1 ჰა. მიწის ნაკვეთზე 3-5 ტონა ქერსა და ხორბალს იღებენ. თავთავიანი მარცვლეული კულტურების ფასებიც ცნობილია-1კგ. ქერის ფასი 80 თეთრი-1 ლარის ფარგლებში მერყეობს, 1 კგ. ხორბლის კი-1.10 ლარია.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი - საქართველო, მთელი ევროპა და მსოფლიო დიდი გამოწვევების წინაშე დგას - ამის მიუხედავად, ჩვენ ძლიერი, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს და პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას ვინარჩუნებთ

საქართველო, მთელი ევროპა და მსოფლიო დიდი გამოწვევების წინაშე დგას, იქნება ეს უსაფრთხოების გამოწვევები თუ ეკონომიკის მიმართულებით, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერთან, კარლ ნეჰამერთან ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, არსებული გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს ძალიან ძლიერი, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა აქვს და პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას ინარჩუნებს.

„რა თქმა უნდა, საქართველო და მთელი ევროპა, მთელი მსოფლიო დღეს დიდი გამოწვევების წინაშე დგას, იქნება ეს უსაფრთხოების გამოწვევები თუ ეკონომიკის მიმართულებით. ამის მიუხედავად, საქართველო ძალიან ძლიერ ეკონომიკურ ზრდას ინარჩუნებს, ჩვენ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს, სტაბილურობას ვინარჩუნებთ ქვეყანაში, პოლიტიკურს, ეკონომიკურს. უსაფრთხოების მხრივ ჩვენ გვაქვს რა თქმა უნდა, გამოწვევები, რომელიც უკავშირდება ოკუპაციას. ბატონო კანცლერო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ჩვენი ტერიტორიის დიდი ნაწილი არის ოკუპირებული და გამოწვევებით სავსე. ადგილზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვითარება საკმაოდ რთულია, ამის მიუხედავად, საქართველო აგრძელებს წინსვლას. რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან გვაშფოთებს ის, რაც ხდება უკრაინაში. ჩვენ ეს 2008 წელს გამოვცადეთ, როცა ფართომასშტაბიანი ომი გვქონდა რუსეთთან, ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ რა თქმა უნდა, ომის დასრულება უნდა იყოს ყველას ინტერესში. მშვიდობას არ აქვს ალტერნატივა. ჩვენ ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ მაქსიმუმი იმისთვის, რომ ეს ომი შეწყდეს და აღდგეს მშვიდობა და სტაბილურობა“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ანრი ოხანაშვილი - ოპოზიციის მხრიდან მანიპულაციური განცხადებები უფრო მაგიდის აყირავებაა ევროკომისიისთვის, ვიდრე ბოიკოტი ქართული ოცნებისთვის“

შარლ მიშელის დოკუმენტი ანულირებულია - ევროკომისიას საჭიროდ რომ ჩაეთვალა 12-პუნქტიან რეკომენდაციებში საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის გადმოტანა, როგორ წარმოგიდგენიათ, სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხი გადმოიტანა და საარჩევნო ბარიერის საკითხს არ გადმოიტანდა?! - ასეთია იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ანრი ოხანაშვილის პასუხი, კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების რიგგარეშე სესიაზე მიღების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ოხანაშვილი ოპოზიციის მოთხოვნას „აბსურდულს“ უწოდებს და აცხადებს, რომ ევროკომისიის 12 პუნქტი საკმაოდ მკაფიოდ არის გაწერილი, თავისი კონკრეტული ნაბიჯებით.

„როგორც ჩანს, ამ ხალხს სურს, 12 პუნქტს ერთი ახალი პუნქტი დაამატონ და ევროკომისიის 12 პუნქტი 13 პუნქტად გაასაღონ, რაც ასე არ არის. ჩვენი მხრიდან ჩვენი პასუხისმგებლობის ფარგლებში 12-ვე პუნქტი შესრულდება. ამ მიზნით ინტენსიური მუშაობა დავიწყეთ. ხალხი, ვინც ცდილობს, რომ ჩვენი ქვეყნის ევროპულ პერსპექტივას ბოიკოტი გამოუცხადოს, ამის შესაძლებლობას არ მივცემთ. „ქართულმა ოცნებამ“ ქართველ ხალხთან ერთად ასოცირების დღის წესრიგი მოიპოვა - მოიპოვა თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი, უვიზო მიმოსვლა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ობიექტურად და დამსახურებულად კანდიდატის სტატუსი მოგვენიჭოს“, - განაცხადა ოხანაშვილმა.

„ქართული ოცნების“ დეპუტატი იმასაც ამბობს, რომ, ოპოზიციის მხრიდან მანიპულაციური განცხადებები უფრო მაგიდის აყირავებაა ევროკომისიისთვის, ვიდრე ბოიკოტი „ქართული ოცნებისთვის“.

თუ იმას იტყვიან, რომ „ქართულ ოცნებას“ არ ენდობიან, უკაცრავარდ, მაგრამ ჩვენ შევძელით ის, რომ 2024 წელს არჩევნები სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარდება და ჩვენი ინიციატივით ჩატარდა 2020 წლის არჩევნები 1%-იანი ბარიერით. ჩვენ გავატარეთ სწორედ „მოქალაქეებთან“ ერთად ამბიციური საარჩევნო რეფორმა. ჩვენს მიერ გაკეთებულ საქმეს ენდობა ევროკომისია. მათ პუნქტები რომ გაწერეს, ნდობა გამოუცხადეს ქართველ ხალხს და ხელისუფლებას, რადგან მოლოდინი აქვთ, რომ ამ რეკომენდაციებს შევასრულებთ“, - განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

„საქართველოს მივეცი ცალსახა გარანტია“

საქართველოს მივეცი ცალსახა გარანტია, რომ კონკრეტული რეკომენდაციების შესრულების შემთხვევაში ჩვენი მხრიდან საქართველოს კონკრეტული მხარდაჭერა ექნება - ჩვენთვის ძალიან მნიშვნლოვანია დიალოგი, დაბალანსებული პოლიტიკის წარმოება იმისთვის, რომ უფრო მეტად ვიზრუნოთ ევროპაში მშვიდობისთვის, - ამის შესახებ ავსტრიის კანცლერმა, კარლ ნეჰამერმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოსა და ავსტრიას შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების პოტენციალი არსებობს.

„ჩვენ ვართ სავაჭრო პარტნიორები. ბუნებრივია, ჩვენი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების პოტენციალი არსებობს. როდესაც ავსტრიაზე ვსაუბრობთ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ჩვენი მოქალაქეებისთვის ახლოს არის და საქართველოს უფრო ახლოს ვხედავთ.

გარდა ამისა, ვმუშაობთ ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისთვის, დიდი პოტენციალია ამ მიმართულებით. უწყვეტი ეკონომიკური ინვესტიციების საფუძველზე გვჭირდება სამართლებრივი უსაფრთხოება. პრემიერმა მოგვცა გარანტია, რომ საქართველო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ამ ტიპის გარანტიები მოცემული იყოს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მათ შორის უსაფრთხოების კუთხით გარანტიები იყოს შექმნილი ორგანიზებულ კრიმინალთან, დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით.

მე, როგორც ფედერალურმა კანცლერმა საქართველოს მივეცი ცალსახა გარანტია, რომ, კონკრეტული რეკომენდაციების შესრულების შემთხვევაში, ჩვენი მხრიდან საქართველოს მხარდაჭერა ექნება იმისთვის, რომ შეიქმნას სტაბილურობის სივრცე, სადაც ამ ძალიან რთული სიტუაციის ფონზე კონკრეტული გარანტიები იქნება მოცემული. ჩვენთვის ძალიან მნიშვნლოვანია დიალოგი, დაბალანსებული პოლიტიკის წარმოება იმისთვის, რომ უფრო ვიზრუნოთ ევროპაში მშვიდობისთვის“,- აღნიშნავს ავსტრიის კანცლერი.

მისივე თქმით, თუ გამოწვევებზე თვალს დავხუჭავთ ეს არაპროდუქტიული იქნება, „უკეთესი იქნება, თუ გამოწვევებს დავინახავთ და თვალს გავუსწორებთ“.

გია ვოლსკი - ივანიშვილი არ აპირებს პოლიტიკაში დაბრუნებას, რადგან ის რესურსი, რაც შეიქმნა პოლიტიკურ ველზე ,,ქართული ოცნების“ სახით, სავსებით საკმარისია, გინდა ინტელექტუალურად, გინდა ავტორიტეტით

ბიძინა ივანიშვილი არ აპირებს პოლიტიკაში დაბრუნებას, რადგან ის რესურსი, რაც შეიქმნა პოლიტიკურ ველზე „ქართული ოცნების“ სახით, სავსებით საკმარისია, გინდა ინტელექტუალურად, გინდა ავტორიტეტით და გინდა საზოგადოებრივი მხარდაჭერით, - ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე- სპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა.

ვოლსკი ბიძინა ივანიშვილის უფლებადამცველი იურიდიული კომპანიის განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ფინანსები არ არის ივანიშვილისთვის განმსაზღვრელი ფაქტორი, თუ როგორ უნდა მოიქცევა.

„ეს არის ადამიანი, რომლისთვისაც პატრიოტიზმი, ქვეყნისათვის თავდადება არის მთავარი თემა. არ არსებობს არანაირი ფინანსური მექანიზმი, რომელიც მას გადააწყვეტინებს, რომ ან პოლიტიკაში დაბრუნდეს ან ზემოქმედება მოახდინოს პოლიტიკურ პროცესებზე კანონის დარღვევით. მისი ადვოკატი ფაქტებზე საუბრობს. საოცარია, რომ შვეიცარიულმა ბანკმა გადადგა ასეთი ნაბიჯი, როცა მეორე მსოფლიო ომის დროსაც შენარჩუნებული ჰქონდა თავისი ავტორიტეტი, თავის ნეიტრალობით, საბანკო სისტემით. როცა ბანკის წარმომადგენლობა აცხადებს, რომ ევროპარლამენტის რეზოლუცია არის ამის საფუძველი, ესე იგი იჭრება ისეთ პოლიტიკურ პროცესში, რომელიც თქვენ საშუალებას გაძლევთ, მე კითხვები დამისვათ და აბსოლუტურად ლოგიკურია, წინაალმდეგ შემთხვევაში ეს ადვოკატების თემა იქნება. მარტო საქართველოს მიმართ რომ იყოს რეზოლუცია, მე ვიტყოდი, რომ კი, რაღაც საკითხია ისეთი, რომელიც ექსკლუზიურია, მაგრამ სულ ახლახანს პოლონეთის მიმართ მიიღო ძალიან მკაცრი რეზოლუცია, რომელშიც გმობს ევროსაბჭოს გადაწყვეტილებას, რომ პოლონეთს გაუხსნეს დახმარების ტრანში. ასე რომ, სამწუხაროა, თუ ბანკი გარკვეულ პოლიტიკურ თამაშებში იღებს მონაწილეობას,“ - განაცხადა ვოლსკიმ.

ცნობისათვის, საქართველოს ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის უფლებადამცველი იურიდიული კომპანიის ინფორმაციით, 5 ივლისს ივანიშვილმა Credit Suisse-სგან წერილი მიიღო, სადაც განმარტებულია, რომ ევროპარლამენტის მიერ ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების თაობაზე მიღებულმა რეზოლუციამ წარმოშვა ბანკის მხრიდან რეგულატორული ვალდებულებები და რომ ტრასტი თავის მოქმედებებს აღარ განახორციელებს სასამართლოს თანხმობის გარეშე. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ივანიშვილისთვის აშკარაა, რომ ბანკის მოქმედებები კლიენტზე პოლიტიკური ზეწოლის მოხდენის მიზანს ემსახურება, რომლის დეტალებზეც, საჭიროებისამებრ, თავად ისაუბრებს.

იაგო ხვიჩია - დეპოლარიზაციისთვის ყველაზე ეფექტური ნაბიჯი საარჩევნო ბარიერის დაწევაა - ევროკომისიის დოკუმენტში შარლ მიშელის შეთანხმებაზეა საუბარი, შარლ მიშელის შეთანხმებაში არ ეწერა ბარიერზე?!

დეპოლარიზაციისთვის ყველაზე ეფექტური ნაბიჯი საარჩევნო ბარიერის დაწევაა - შარლ მიშელის შეთანხმებაზეა საუბარი ევროკომისიის დოკუმენტში, შარლ მიშელის შეთანხმებაში არ ეწერა ამ ბარიერზე?! - ამის შესახებ ჟურნალისტებთან „გირჩის“ დეპუტატმა იაგო ხვიჩიამ განაცხადა.

მისი თქმით, ახლა მიზანი უნდა იყოს ევროპელებისთვის თავის მოწონება, თუმცა, კობახიძის განცხადებები ასეთ შთაბეჭდილებას არ ტოვებს, რომ ის ვინმესთვის თავის მოწონებას ცდილობს.

„ჩვენ ახლა უნდა ვცდილობდეთ თავი მოვაწონოთ ევროპელებს, რომ 6 თვეში მაინც მოგვეცეს შესაძლებლობა, რომელიც ახლა არ მოგვეცა. ადამიანი, რომელსაც ვინმესთვის თავის მოწონება უნდა იმ წინადადებებით, ტონალობით შეიძლება ლაპარაკობდეს, როგორსაც ჩვენ ვისმენდით კობახიძისგან ევროინტეგრაციასა და საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით?! მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ „ქართული ოცნების“ მიზანი ის არ არის, რასაც აცხადებენ, მიზანი შეიძლება საერთოდ სხვა იყოს, რომელიც ჩვენ არ ვიცით. ულტიმატუმი ჩვენგან არ არის, ევროპელებისგან არის ეს მოთხოვნა, რომ დეპოლარიზაცია მოვახდინოთ. ამისთვის ყველაზე ეფექტური ნაბიჯი არის საარჩევნო ბარიერის დაწევა. როცა ულტიმატუმზე საუბრობენ, ეს ულტიმატუმი იყო თუ არა, კარგად ნაიკითხონ ევროპელების დოკუმენტებში, ულტიმატუმია ეს თუ პირობები, რომელიც უნდა შევასრულოთ. შეიძლება ეს შინაარსობრივად ერთი და იგივე იყოს, მაგრამ ოპოზიციისგან არ არის ეს. შარლ მიშელის შეთანხმებაზეა საუბარი ამ დოკუმენტში, შარლ მიშელის შეთანხმებაში არ ეწერა ამ ბარიერზე?! “- განაცხადა ხვიჩიამ.

ცნობისათვის, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ დეკემბერში, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, საქართველოს პარლამენტი სამივე მოსმენით მიიღებს კონსტიტუციურ კანონს, რომლის თანახმად, 2024 წლის და მისი მომდევნო საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით და 2%-იანი საარჩევნო ბარიერით ჩატარდება.

შიდა გზების რეაბილიტაცია გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორნაბუჯი-სამთაწყაროს 28 კმ-იან საავტომობილო გზის მონაკვეთს სარეაბილიტაცი სამუშაოები უტარდება გზის მონაკვეთს სამუშაოები 30 წელია არ ჩატარებია

არსებული გზა ძირითადად ხრეშოვანი და დაზიანებული იყო, ავტოტრანსპორტი შეფერხებით გადაადგილდებოდა განსაკუთრებით წვიმიან ამინდში, რაც გზით მოსარგებლე მოსახლეობისათვის დიდ პრობლემას ქმნიდა

გართულებული იყო საავტომობილო გზის მიმდებარედ არსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისვლა

პროექტს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებს, მისი ღირებულება 20 739 345 ლარია.

სამუშაოების დასრულება 2023 წლის ზაფხულში იგეგმებამონაკვეთის რეაბილიტაცია 2 პროექტად მიმდინარეობს

2016-2021 წლებში, გუმბათი-ხირსა-ენამთა-სამთაწყარო-საბათლოს საავტომობილო გზაზე უკვე ჩატარდა გუმბათი-ხორნაბუჯის და სამთაწყარო-საბათლოს 39 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია.

აღნიშნული პროექტები, გუმბათი-ხირსა-ენამთა-სამთაწყარო-საბათლოს საავტომობილო გზის 67 კმ-იან მონაკვეთზე საგზაო ინფრასტრუქტურის სრულად მოწესრიგებას და არსებული პრობლემების აღმოფხვრას უზრუნველყოფს.

სოციალურად დაუცველი პირები დასაქმდნენ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა თანამშრომლებთან ერთად მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენები განიხილა და სამომავლო გეგმებზე იმსჯელა.

აღინიშნა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურ რეჟიმში ხორციელდება. უახლოეს პერიოდში კი ინფრასტრუქტურული მშენებლობები კიდევ უფრო მასშტაბური გახდება. ასევე წარმატებით მიმდინარეობს სოციალურად დაუცველი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა , რომელიც პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ხორციელდება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უკვე დასაქმდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 180-ზე მეტი სოციალურად დაუცველი პირი.

კალიების წინააღმდეგ წამლობა მიმდინარეობს

აღმოსავლეთ საქართველოში, კალიების საწინააღმდეგო ღონისძიებები გრძელდება!

სახელმწიფო პროგრამის ,,მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა“ ფარგლებში, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონებში, სპეციალიზებული ტექნიკის გამოყენებით, უკვე დამუშავებულია 25 ათას ჰექტრამდე ფართობი.

წამლობა, რომელიც მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, მავნებლის გავრცელების არეალისა და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით იგეგმება, მთელი სეზონის განმავლობაში, საჭიროების გათვალისწინებით გაგრძელდება.



უკრაინიდან ლტოლვილები მოინახულეს

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივმა ორგანიზაციამ საომარი მოქმედებების გამო უკრაინიდან ლტოლვილ 12 ოჯახს საკვები პროდუქტები და მედიკამენტები გადასცა.

ამანათები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა სამუკაშვილმა და წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნათელა თამაზაშვილმა სოფელ ხორნაბუჯში დროებით მცხოვრებ სუზანა ოსიპოვას და ქ. დედოფლისწყაროში მცხოვრებ ირენა დენიმჩუკს პირადად მიუტანეს და მშვიდობა და სამშობლოში მალე დაბრუნება უსურვეს.

უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებიდან დღემდე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 12 ლტოლვილი ოჯახია რეგისტრირებული.

რეგისტრაცია მხოლოდ ელექტრონულად

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური განმარტავს, რომ განცხადებების ელექტრონული ფორმით მომართვიანობის წახალისებისა და დისტანციური სერვისების პოპულარიზაციის მიზნით, მიმდინარე წლის 11 ივლისიდან მოქალაქეთა (რომელთაც გააჩნიათ შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული გვერდი) მომსახურების სერვისცენტრებში ვიზიტის დროს დამატებით შეიზღუდება, შემდეგი განცხადებების რეგისტრაცია:

- მეწარმე ფიზიკური პირისთვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება;
- ფიზიკური პირისთვის საკუთარი შემოსავლების შესახებ ცნობის გაცემა;
- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია.

“60 000-ზე მეტ ფიზიკურ პირს, უკვე გაეგზავნა საინფორმაციო ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინება შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მობილურ ნომრებზე.

აქვე შეგახსენებთ, რომ სერვისების განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, თვითმომსახურების წახალისების მიზნით, შემოსავლების სამსახურში უკვე 452 ელექტრონული სერვისის მიღება არის შესაძლებელი”-ნათქვამია შემოსავლების სამსახურის გავრცელებულ ინფორმაციაში.

კლიმატის ცვლილება და გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობის განვითარება კლიმატური კრიზისისა და კატასტროფების რისკის შემცირების კონტექსტში XXI საუკუნის გლობალური გამოწვევაა. კლიმატის ცვლილებებისა და მდგრადობის პრობლემებს აქვს და ექნება მძიმე და ხანგრძლივი ზემოქმედება ჩვენს გარემოზე, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. ამ ზემოქმედებას კიდევ უფრო მძაფრად განიცდიან ის პირები, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადები და გარიყულები არიან. აღიარებულია, რომ კლიმატის ცვლილებები ქალებზე უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე კაცებზე, რადგან ისინი ღარიბი და ბუნებრივ რესურსებზე მეტად დამოკიდებული მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ. ამდენად, კლიმატის ცვლილებები მათ განსაკუთრებით აზიანებს.

ამავდროულად, ქალები და გოგოები არიან ქმედითი და ძლიერი ლიდერები და ცვლილებების ინიციატორები კლიმატის ცვლილებების შემსუბუქებისა და მათთან შეგუების თვალსაზრისით. მთელ მსოფლიოში ისინი ჩართულები არიან მდგრადობის ინიციატივებში და მათი მონაწილეობა და ლიდერობა კლიმატის ცვლილებებთან გამკლავების კუთხით უფრო ქმედით შედეგებში აისახება. ჩვენ ვაგრძელებთ შესაძლებლობებსა და სირთულეებზე დაკვირვებას ქალებისა და გოგოების გასაძლიერებლად, რათა მკაფიოდ ისმოდეს მათი ხმა და ისინი თანასწორად მონაწილეობდნენ კლიმატის ცვლილებებსა და მდგრადობასთან დაკავშირებულ პროცესებში, რაც უმნიშვნელოვანესია მდგრადი განვითარებისა და გენდერული თანასწორობისთვის. დღევანდელი გენდერული თანასწორობის გარეშე მდგრადი და თანასწორი მომავალი არ მიიღწევა.

სწორედ ამ საკითხზე სასაუბროდ 3 ივლისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში, გაიმართა შეხვედრა, რომელსაც არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფის წევრებიც ესწრებოდნენ. არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ მკვლევარი და საინიციატივო ჯგუფის „ქალები გარემოსდაცვითი გამოწვევების წინააღმდეგ“ წარმომადგენელი მარიამ ხვედელიძე და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წარმომადგენელი მარიამ ბერიძე იმ მნიშვნელოვან თემებს შეეხნენ, როგორებიცაა: **სოფლად მცხოვრები ქალების მოწყვლადობა, წყლის დეფიციტი, შინამეურნეობაში წარმოქნილი სირთულეები, ცვალებად გარემო-პირობებთან ადაპტაციის შეზღუდული შესაძლებლობა, ამ პრობლემების მოგვარების გზები, თუ როგორ დავნერგოთ კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკა, რა როლს ასრულებენ სოფლად მცხოვრები ქალები კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლაში და ა.შ.** მარიამ ხვედელიძე გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აღნიშნავს, რომ ქალთა ფონდის მხარდაჭერით ჩატარებული ტრენინგი-საინფორმაციო ტიპის შეხვედრები ტარდება როგორც სკოლებში, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ა.შ. ბროშურის შედგენამდე ჩატარდა კვლევა, რომელმაც გამოავლინა ის პრობლემური საკითხები, რაზეც მათ ყურადღების გამახვილება დასჭირდებოდათ. გამოიკითხნენ დიდი სოფლის მცხოვრებლები - გამარჯვება, ხორნაბუჯი, ზემო ქედი, არბოშიკი, უშუალოდ ქ.დედოფლისწყარო, სამრეკლო, ზემო მაჩხაანი. წარმომადგენლებმა ისაუბრეს იმაზე, თუ რატომ არიან სოფლად მცხოვები ქალები უფრო მოწყვლადები კლიმატის ცვლილებების შედეგების მიმართ: „გენდერული ნორმები, როლები,

ვალდებულებები, ქცევები და ძალაუფლება განსაზღვრავს იმას, თუ როგორ მოქმედებს ესა თუ ის რისკი სხვადასხვა გენდერის მქონე ადამიანზე და როგორ მართავენ ეს ადამიანები ამ რისკებს. კლიმატის ცვლილებების შედეგებისადმი სოფლად მცხოვრებ ქალთა მოწყვლადობის უფრო მაღალი დონე დიდწილად განპირობებულია ქალის ვალდებულებას მიკუთვნებული დაუფასებელი და აუნაზღაურებადი შრომით. მაშინ როცა, მამაკაცები როგორც წესი, მიწის მფლობელები არიან, მართავენ მომგებიან კულტურებს და სხვა მაღალშემოსავლიან ბუნებრივ რესურსებს, სოფლის მეურნეობაში ჩართული ქალები პასუხისმგებელნი არიან შეინამეურნეობაზე: **ოჯახის სურსათით უზრუნველყოფაზე, საოჯახო ბაღ-ბოსტნების დამუშავებაზე, პირუტყვის მოვლა-პატრონობაზე და ა.შ.** ამგვარად, გამოდის, რომ მთელი დღის განმავლობაში შინამეურნეობაში გაწეული ქალები შრომის სანაცვლოდ ანაზღაურებას არ იღებენ. კლიმატის ცვლილება, ამ მდგომარეობას რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ამძიმებს და ქალები კიდევ უფრო დიდ დროს ატარებენ აუნაზღაურებელ შრომაში - მეტ დროს უთმობენ წყლის მოტანას რამდენიმე კმ-ში არსებული წყაროდან, გაუვარგისებული საძოვრების გამო, საბალახოდ პირუტყვის შორ მანძილზე გარეკვა უწევთ, მეტ დროსა და ენერგიას ხარჯავენ დეგრადირებული მიწის დამუშავებაში, უმცირდებათ საოჯახო შემოსავალი და ა.შ.“

თუ რა არის პრობლემებიდან გამოსავალი, როგორ შეიძლება შევამციროთ სოფლად მცხოვრები ქალების მოწყვლადობა კლიმატის ცვლილებების შედეგების მიმართ, დამსწრე საზოგადოებამ ასეთი პასუხი მიიღო: ***„კლიმატის ცვლილებების შედეგებისადმი ქალთა მოწყვლადობის შემცირება კომპლექსური და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული ღონისძიების განხორციელებას მოითხოვს, როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალიტეტის და თემის დონეზე. ესენია: ქალთა ცნობიერების ამაღლება, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ქალთა შესაძლებლობების გაძლიერება და მათი უნარების დივერსიფიკაცია, გენდერული თანასწორობის დამყარება, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვა, ქალთა როლის გაძლიერება ლიდერულ პოზიციებზე და ქალთა საჭიროებების გათვალისწინება პოლიტიკის შემუშავებისას.“***

გარდა იმისა, რომ ქალები კლიმატის ცვლილებების მიმართ ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია, ისინი კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და შერბილების პროცესის უმნიშვნელოვანესი აქტორებიც არიან. საინფორმაციო შეხვედრა საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა დამსწრე საზოგადოებისთვისაც, რადგან პროცესი კითხვა პასუხის აქტიურ რეჟიმში წარიმართა. ტრენერებმა მადლობა გადაუხადეს მონაწილეებს ჩართულობისა და აქტიურობისთვის.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

როგორ მივაღწიოთ კლიმატის და გენდერულ სამართლიანობას

ალბათ გვსმენია ცნობილი ფრაზა, რომ კლიმატის ცვლილება ყველას გვეხება. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ კლიმატის ცვლილების ნეგატიური ზეგავლენა არაპროპორციულად ვრცელდება და ყველაზე მეტად საზოგადოების ღარიბ, დაუცველ და მცირე რესურსების მქონე ნაწილს აზარალებს.

კლიმატი დედამიწაზე ყოველთვის იცვლება, ისტორიულად ამ გლობალურ ცვლილებას სხვადასხვა გამომწვევი მიზეზი განაპირობებდა, მაგრამ ამჟამად საქმე განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს. როგორც მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების უმრავლესობა თანხმდება, დედამიწის საშუალო ტემპერატურის სწრაფი მატება გამოწვეულია ადამიანის ინტენსიური საწარმოო საქმიანობით, განსაკუთრებით კი წიაღისეული საწვავის ინტენსიური მოხმარებითა და ეკოსისტემებზე მავნე ზემოქმედებით.

დედამიწის საშუალო ტემპერატურის მატებით გამოწვეული მოვლენები არ ხდება მხოლოდ ჩვენგან შორს და არ ეხება მხოლოდ არქტიკაზე მცხოვრებ თეთრ დათვებსა და ანტარქტიდაზე მცხოვრებ პინგვინებს. კლიმატის ცვლილებისა და მისი თანმხლები მოვლენების პირისპირ თითოეული ჩვენგანი აღმოჩნდება.

ცვლილებები სახეზეა საქართველოშიც. სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში იმატა სტიქიური უბედურებების რიცხვმა, გახშირებულია გვალვები, სითბური ტალღები, ტყის ხანძრები, სეტყვა, წყალდიდობები და ზვავები. საქართველოს მთელ რიგ ტერიტორიებზე მოსალოდნელია სახნავსათესი მიწების გამოფიტვა და გაუდაბნოება.

ამ და სხვა მრავალი სახიფათო ტენდენციის გამო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ავითარებს კლიმატის ცვლილების პოლიტიკურ დოკუმენტებს, სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს.

ამ დოკუმენტებში შეტანილ ღონისძიებებს დიდი გავლენა ექნება ჩვენს სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაზე, კლიმატის ცვლილება არ არის მხოლოდ გარემოს დამცველების თავის ტკივილი. ეს პროცესი კომპლექსური სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენია. თუმცა, ხშირად, ძირითადი ყურადღება ამ პროცესის მხოლოდ ტექნიკურ დეტალებს ეთმობა, რაც, ამ პრობლემების მხოლოდ ნაწილობრივ სურათს გვაძლევს, და შესაბამისად, პრობლემის მხოლოდ ნაწილობრივი გადაჭრის გზას გვთავაზობს.

მნიშვნელოვანია, რომ კლიმატის ცვლილების პოლიტიკის დოკუმენტები, ეთიკური და პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარე, იყოს გენდერულად სენსიტიური, სადაც გათვალისწინებული იქნება მოწყვლადი ჯგუფების თავისებურებები, საჭიროებები და მათი გაძლიერების კონკრეტული პროგრამა.

კლიმატის ცვლილების დროს ქალები განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან არსებული გენდერული უთანასწორობის, სტრუქტურული ბარიერების, ფინანსებზე, ინფორმაციაზე წვდომისა და სხვა სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური უთანასწორობის განმაპირობებელი მიზეზების გამო.

ეს განსაკუთრებულად კარგად ჩანს ღარიბ, განვითარებად ქვეყნებში, სადაც კაცებისგან განსხვავებით, ქალებს ხშირად არ აქვთ სამსახური, საკუთრება, წვდომა რესურსებზე, განათლებაზე, შეზღუდულია ან საერთოდ არ არსებობს მათი ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. შედეგად, მსოფლიო მასშტაბით, სწორედ ქალები არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებთა უმრავლესობაში (70%).

ამგვარ დისკრიმინაციას ხშირად ქალებისთვის ფატალური შედეგები მოაქვს. მაგალითად, სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის მიხედვით, ბუნებრივი კატასტროფების დროს მეტი ქალი იღუპება, ვიდრე მამაკაცი. დაღუპული ქალების უმრავლესობა, როგორც წესი, დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონენი არიან. თვალსაჩინო მაგალითისთვის, 1991 წელს ბანგლადეშში გამანადგურებელმა ციკლონმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დაღუპულთა 90% ქალები იყვნენ. არსებობს სხვა მსგავსი მაგალითებიც. ქალების გადარჩენის შანსებზე გავლენას საზოგადოებაში მათი ტრადიციული როლი ახდენს. განვითარებად ქვეყნებში ბევრმა ქალმა არ იცის ცურვა, ხშირად კრიზისულ სიტუაციაში ისინი ელოდებიან მეუღლეს ან ოჯახის სხვა წევრს.

ბუნებრივ კატასტროფას გადარჩენილი ქალები, ხშირად სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდებიან. ამ ტენდენციასაც ისევ და ისევ ქალების რესურსებზე შეზღუდული წვდომა და დამკვიდრებული გენდერული როლები განაპირობებს. ბუნებრივი კატასტროფის დროს, როგორც წესი, ხდება ადამიანების დამცავი მექანიზმების მოშლა, მაგალითად, ნადგურდება თავშესაფარი, სწრაფად გადაადგილების საშუალებები, ჯანდაცვის სერვისები, არ ხერხდება ინფორმაციასთან წვდომა, პოლიციას განსაკუთრებულ რეჟიმში უწევს მუშაობა, იზღუდება კომუნიკაცია მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან. გაჭირვებულ მოსახლეობაში, კატასტროფამ ჩამოთვლილი სოციალური სტრუქტურები, შეიძლება კიდევ უფრო დაასუსტოს. ასეთ ვითარებაში ქალები განვითარებულ ქვეყნებშიც კი არ არიან დაცული. მაგალითისთვის 1989 წელს, კალიფორნიაში, ლომა პრიეტას მიწისძვრის შემდეგ აღნიშნულ დასახლებაში ქალებზე სექსუალური ძალადობა 300 პროცენტით, ხოლო ოჯახში ძალადობა 46 პროცენტით გაიზარდა. არსებობს სხვა მრავალი მაგალითიც: 2005 წელს ქარიშხალი კატრინას და რიტას დროს შეერთებულ შტატებში ეროვნული სექსუალური ძალადობის რესურსცენტრის კვლევის თანახმად სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა 93,2 პროცენტი ქალი იყო.

აქ ჩამოთვლილი და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელთა გამოც ქალები მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან, დღემდე იშვიათად ხვდება კლიმატის ცვლილების პოლიტიკის დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმებში. აღსანიშნავია ისიც, რომ კლიმატის ცვლილების საკითხებზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალების ჩართულობა ჯერ კიდევ უმნიშვნელოა, მაშინ, როცა ქალთა გაძლიერება და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა პირდაპირ კავშირშია მათთან.

საქართველო ჩვენია, ყველასი!

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა, სადაც 70 პროცენტი ეთნიკური ქართველია, თუმცა ცხოვრობენ ასევე უმცირესობებიც: სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, აფხაზები, ოსები და სხვ. ამავდროულად, სხვადასხვა მუნიციპალურ დონეზე გვხდება უმცირესობები, მაგალითად, ბოშები. სწორედ, ბოშებთან ინტეგრაციულ ღონისძიებას დაეთმო 30 ივნისის საღამო ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, სადაც ქართველებთან ერთად ბოშებიც იღებდნენ მონაწილეობას.

„როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი სოფელი ხორნაბუჯი მრავალფეროვანია. აქ 17 ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. ისინი ერთად, მეგობრულად ატარებენ ცხოვრებას. ჩვენს მუზეუმსაც „ხალხთა მეგობრობის მუზეუმი“ ჰქვია. გაიჟღერა იმ აზრმაც, რომ ჩვენს ქალაქსაც მეგობრობის ქალაქი დაერქვას. როგორც სიღნაღს ჰქვია „სიყვარულის“ ქალაქი. ჩვენ მივესალმებით ამ იდეას. მუზეუმის შენობაში არის „ქალთა და ახალგაზრდობის სათემო ცენტრი „ხორნაბუჯი - თამარის ციხე“. ჩვენი სათემოს განვითარებას და მდგრადობას ხელს უწყობენ „CSPDL“ და საგას წარმომადგენლები. მათი დახმარებით ეზოში ჩავდგით ტყუპი ფანჩატურები, რომლებიც პანდემიამდე ძალიან დატვირთული იყო. აქ ტარდებოდა ღია

გაკვეთილები, ბაღის და სკოლის ღონისძიებები, გვსტუმრობდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები. დადგა საჭიროება, რომ გვქონოდა დახურულ სვრცეში ოთახიც, რათა უამინდობის დროს ხელი არ შეშლოდა მუზეუმის მუშაობას და გვქონოდა ჩვენი სივრცე. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის და კულტურის სამსახურის მეშვეობით, სარგებლობაში გადმოგვეცა ერთი ოთახი მუზეუმის შენობაში, რომელიც პროექტით მოვაწყვეთ და ტექნიკით აღვჭურვეთ. ახლა აქ ვმუშაობთ ახალ პროექტებზე და სხვადასხვა წრეების მუშაობაზე. ვაპირებთ, რომ უფრო განვვითარდეთ და დავამატოთ ის წრეები, რაც სოფლის მოსახლეობას დასჭირდება.“ - ასე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას ქეთევან მჭედლიშვილი, **ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი** და ყველას სასიამოვნო საღამოს გატარება უსურვა.

სასიამოვნო საღამო კი ნამდვილად შედგა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ კულტურის ცენტრთან არსებული მოცეკვავეთა გუნდი „ვარსკვლავები“, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ხელმძღვანელის ცარო მარტიაშვილის აღსაზრდელები, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის გალობისა და ხალხური სიმღერების სკოლის მოსწავლეები (მუსიკალური ხელმძღვანელი: ნინო ნიკვაშვილი) და რაც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, ახალგაზრდა ბოშა ქალი ვიშნია დოცენკო, რომელმაც ქართულად წაიკითხა ანა კალანდაძის უკვდავი ლექსი „ბოშა ქალი“. უნდა აღინიშნოს, რომ ვიშნია, თეატრალურ ცხოვრებაშიცაა ჩართული და შესრულებული აქვს მთავარი როლები „ბერიკონის“ მიერ დადგმულ სპექტაკლებში. ეს ასმაგად აღმაფრთოვანებელი გამოდგა იქ შეკრებილი საზოგადოებისთვის, რადგან სწორედ ადგილობრივი სათემო ცენრის წევრების დახმარებით, ისინი იძენენ ცოდნას, სწავლობენ ქართულად წერა-კითხვას და ამით აქტიურად ერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში.





***„მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ეს სახლი იყო ერთგვარი კულტურის ცენტრი ყველა ლტოლვილისთვის, თავშესაფარი და ნავსაყუდელი გადმოსახლებულებისთვის. ეს სახლი ბევრი ცნობილი პიროვნების ნაფეხურებს ინახავს. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლის დარად, ეს ადგილი იყო პროგრესულად მოაზროვნე უცხოელი და ქართველ ინტელიგენციის თავშეყრის ადგილი. მრავალი მოწინავე იდეა იმ პერიოდში სწორედ აქ იბადებოდა. ასე, რომ ეს ისტორიული მნიშვნელობის შენობა აგრძელებს მაშინდელ ცხოვრებას, ახლაც კარი ღიაა ყველა დაინტერესებული ადამიანისთვის, ვისაც ჩვენი წარსული აინტერესებს, უნდა რომ შეიძინოს ახალი უნარ-ჩვევები და არ დაივიწყოს ძველი ტრადიციები, რათა მომავალ თაობას გადავცეთ ისინი. აქ პერიოდულად ეწყობა მხატვრების გამოფენები, პოეზიის საღამოები, გამოჩენილი ადამიანების მოგონებების თუ გახსენების დღეები, ფუნქციონირებს სათემოს ოთახი, ვატარებთ ტრენინგებს, ვიწვეთ ფსიქოლოგებს, ექიმებს, სპორტსმენებს, პოეტებს.“* - აღნიშნა ქეთევან მჭედლიშვილმა.

მან ასევე მადლობა გადაუხადა თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც ყველა იმ წამოწყებას უდგას გვერდით, რაც კი აქამდე სათემო ცენტრს განუხორციელებია: „მადლობა ყველას ვინც გვეხმარება ***„CSPDL“ და საგას წარმომადგენლებს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის თანამშრომლებს, სოფლის საკრებულოს წარმომადგენლებს. ჩვენი მხრიდან ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ მოვიზიდოთ ახალი ადამიანები, ინტეგრაცია მოვახდინოთ მეზობელი სოფელ ჭოეთის მოსახლეობასთან, რომელიც დასახლებულია ძირითადად ბოშებით. დავეხმაროთ მათ განვითარებასა და დასაქმებაში.“***

ღონისძიებას ასევე ესწრებოდა ***„საგას“ - საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე*** თამუნა მუმლაძე და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა სათემო ცენტრების წარმომადგენლები.

„პანდემიამ ძალიან დიდი კვალი დაამჩნია ადამიანურ ურთიერთობებს. დღევანდელმა საღამომ, ამ გაღიმებული და ნათელი სახეების ხილვავ კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ ერთმანეთი ძალიან მოგვნატრებია. მე ძალიან მიხარია, რომ ასეთი ულამაზესი და საოცრად მხიარული საღამო მოეწყო ამ სათემო ცენტრში, რადგან ეს ყველას გვჭირდება: გვჭირდება კულტურების გაცვლა ეთნიკურ უმცირესობებთან, გვჭირდება მათი ჩართულობა ჩვენს ყოფაში და ასევე მათაც სჭირდებათ ბევრი რამის სწავლა, უკეთესი მომავლისთვის, უკეთესი ყოფისთვის, წინსვლისთვის. მადლობა ორგანიზატორებს და ყველას, ვინც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა ამ საღამოს მოწყობაში. ჩვენ რითიც შეგვეძლება, კვლავ გავაგრძელებთ თქვენს დახმარებას და თანამშრომლობას“.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა** მამუკა ყავრელიშვილმა: ***„მოგვენატრა ასეთი ურთიერთობები. ბავშვების მხიარულება, თავისუფლად კონტაქტი. სამწუხაროდ, ამ ვირუსმა დაგვაცალკევა და დაგვათითოვა. დესოციალიზებული აღმოჩნდა ადამიანი. თითქოს, ეს ვირუსი გვეუბნება, რომ ჩავიკეტოთ , ცალკ-ცალკე ვიყოთ, დავივიწყოთ ყველაფერი საზოგადო, რაც ასე ახასიათებს ამ სოფელს, რომელიც მრავალეროვანი და მრავალენოვანია. მშვენიერი ღონისძიება გამოვიდა, და რომ არა ეს ბავშვები და ორგანიზატორები, ალბათ, ერთ -ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ- ურთიერთობა დაიკარგებოდა ამ ძალიან რთულ და ასოციალურ გარემოში. მადლობა ყველას, გვერდში გვიგულეთ“.***



შეუძლებელია იმ სასიამოვნო გარემოს სიტყვებით გადმოცემა, რომელიც იქ მისულ სტუმრებს დაგვხვდა. ქართული ხალხური და ბოშური მუსიკა, სიმღერები, ცეკვები, ბევრი ღიმილი და მხიარულება, რომელიც ნამდვილად აკლდა პანდემიაგამოვლილ საზოგადოებას. ეს ნამდვილად იყო კულტურათა ზეიმი, ერთმანეთის უკეთ გაცნობა და დიდი მეგობრობისკენ ნაბიჯის გადადგმა, რომელიც, მჯერა, რომ ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს და ამ მხრივ, საზოგადოებად შევდგებით. გაზეთი „შირაქი“ წინსვლას და წარმატებას უსურვებს სათემო ცენტრ „ხორნაბუჯი- თამარის ციხე“. ყველაფერი წინაა!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ენერგოდამოუკიდებლობისკენ -პატარა ნაბიჯებით

„მზის პანელების პროექტი შინამეურნეობისთვის“ ფარგლებში, დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი საინფორმაციო შეხვედრებს განაგრძობს. ის პროექტს „ინოვაციური მიდგომები -სათემო განახლებადი ენერგიის ოაზისები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში“ ახორციელებს. პროექტის ცნობადობის ამაღლების მიზნით ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა საინფორმაციო შეხვედრა ამჯერად თვითმართველობის წარმომადგენლებთან გამართა.

პროექტის მიზანია განახლებადი, არაწიაღისეული ენერგიის პოპულარიზაცია რეგიონში მცხოვრები ოჯახებისა და ბიზნესისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ ტრადიციული ენერგორესურსები ამოწურვადია და აზიანებს გარემოს, მნიშვნელოვანია, განახლებადი ენერგიების დანერგვის ხელშეწყობა. მიჩნეულია, რომ სათბური გაზების კონცენტრაციის მატება გამოწვეულია ადამიანის საწარმოო საქმიანობის (ინდუსტრიალიაცაზიის) ზრდით. განსაკუთრებით დიდია წიაღისეული სათბობის როლი (ბუნებრივი გაზი, ნავთობი, ქვანახშირი) სათბური გაზების გაფრქვევაში. მსგავს პირობებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისება, რომელსაც არ აქვს გარემოზე უარყოფითი გავლენა და მისი გამოყენება არ არის შეზღუდული. განახლებადი ენერგიის წყაროებს მიკუთვნება მზის, ქარის, წყლის, ბიოგაზის და ბიომასის ენერგია.

პროექტის მიზნებზე ისაუბრა დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) ხელმძღვანელმა ანა ბენაშვილმა. პროექტმა დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. როგორც ანა ბენაშვილმა აღნიშნა, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები ექსპერტებთან. მოწვეული სპეციალისტები დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიან დაინტერესებულ ადამიანებს და კვალიფიციურ პასუხებს გასცემენ მათ კითხვებს.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება ნეტოაღრიცხვის სისტემის დანერგვის, ანუ ქსელში ჩართვის თაობაზე. კერძოდ, რევერსული მრიცხველები უნდა დადგეს იმ მომხმარებელთა სახლებში, რომლებიც მზის პანელებს დაამონტაჟებენ.

რა არის რევერსული მრიცხველი?

მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის რეგულირება (ე.წ. ნეტო აღრიცხვა)

თუ თქვენ ფლობთ მზის, ქარის, ჰიდრო ან/და სხვა განახლებადი ენერგიის წყაროზე მომუშავე მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურს, რომლის სიმძლავრე არ აღემატება 500 კილოვატს, შეგიძლიათ პარალელურ რეჟიმში ჩაერთოთ ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში და ჭარბად გამომუშავებული ელექტროენერგია მიაწოდოთ გამანაწილებელ კომპანიას. ეს საშუალებას მოგცემთ დაიკმაყოფილოთ საკუთარი მოხმარება, დაზოგოთ თქვენი კომუნალური ხარჯები, და მეტიც, მიიღოთ

სარგებელი გამანაწილებელი კომპანიისაგან. ასევე, გამოიმუშაოთ სუფთა ენერგია გარემოზე მავნე ზემოქმედების გარეშე.

ნეტო აღრიცხვა, ეს არის, მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ქსელში გადადინებისა და ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის ორმხრივად (რევერსულად) აღრიცხვის პროცესი, რა დროსაც წარმოებული და მოხმარებული ელექტროენერგია ერთმანეთს ქვითავს.

ნეტო აღრიცხვით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას, უბნის, დასახლების ან/და სოფლის მაცხოვრებლებს და არ წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობას. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური შესაძლოა არ წარმოადგენდეს ამ მომხმარებლ(ებ)ის საკუთრებას და იმყოფებოდეს მის/მათ დროებით მფლობელობაში, ხელშეკრულების საფუძველზე იჯარის, ლიზინგის ან სხვა ფორმით.

მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერგიის წარმოება და წარმოებული ელექტროენერგიის მოხმარება შესაძლებელია სხვადასხვა ადგილას ხდებოდეს, ამისათვის აუცილებელია მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური და მომხმარებელი ან მომხმარებელთა ჯგუფი ერთი და იმავე განაწილების ლიცენზიატის ქსელზე იყვნენ მიერთებული. იმ შემთხვევაში, როცა მოხმარებისა და წარმოების ადგილი სხვადასხვაა, თითოეულ მომხმარებელთან ანგარიშსწორებისათვის მონტაჟდება როგორც რევერსული, ისე ჭკვიანი მრიცხველი.

მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის ქსელში ჩასართავად განაცხადით უნდა მიმართოთ გამანაწილებელ კომპანიას. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის ქსელზე მიერთება ხორციელდება გამარტივებული პროცედურით - ერთი ფანჯრის პრინციპით. კომპანია ვალდებულია მომხმარებლის ქსელზე მიერთების განაცხადის მიღების შემდეგ მომხმარებელს ან მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მომხმარებელთა ჯგუფის მიერ სარგებლობისას, თითოეულ მომხმარებელს დაუმონტაჟოს ინდივიდუალური რევერსული ან ჭკვიანი მრიცხველი ანგარიშსწორებისათვის. მომხმარებელთა ჯგუფის ყველა წევრის მოხმარებული და წარმოებული კილოვატსაათების დარიცხვა ერთსა და იმავე დღეს მოხდება, რომლის მიხედვითაც წარმოებული და მოხმარებული ელექტროენერგია გაიქვითება, ხოლო წლის განმავლობაში დაგროვილ ჭარბ ელექტროენერგიას შეისყიდის გამანაწილებელი კომპანია.

პარტნიორი ორგანიზაციის „მწვანე რეგიონები“-ს მოწვეული ექსპერტები ჩაატარებენ ლექცია-სემინარებს, სადაც საუბარი იქნება საქართველოს განახლებადი ენერგიების პოტენციალსა და მათი ათვისების შესაძლებლობებზე; განიხილავენ საქართველოს ენერგეტიკულ ბალანსს და პროგნოზებს გააკეთებენ, ასევე დეტალურად გააცნობენ დაინტერესებულ პირებს ენერგოეფექტურობის არსს და ჩვენს რეგიონში არსებული ალტერნატიული ენერგორესურსების ამოქმედების სიკეთეს განიხილავენ.

პროექტის ფარგლებში მოხდება ლაგის წევრი 4 ადგილობრივი მობილიზატორის გადამზადება ჰელიოაკადემიაში ჰელიო სერვისის საბაზისო უნარების დასაუფლებლად და პროექტის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

როგორც შეხვედრის დასასრულს ანა ბენაშვილმა აღნიშნა, ასეთი პროექტები არის ენერგოეფექტურობისკენ და ენერგოდამოუკიდებლობისკენ გადადგმული პატარ-პატარა ნაბიჯები.

განახლებადი ენერგიის განთავსებას აქვს შესაძლებლობა, შეამციროს სათბური გაზების ემისიები და ქვეყნის დამოკიდებულება წიაღისეულ საწვავზე , რაც ხელს შეუწყობს მისი ენერგომომარაგების უსაფრთხოებას. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია არის ხელმომწერი დოკუმენტზე „მერების შეთანხმება ეკონომიკური განვითარებისთვის“, რაც თანხვედრაშია პარიზის შეთანხმებასთან. ამ შეთანხმების მიზნები საქართველოს ენეგოგანვითარების პრიორიტეტებთან სრულ თანხვედრაშია.

ინგა შიოლაშვილი

კლიმატის ცვლილება და ტემპერატურის მაღალი მაჩვენებელი

დედოფლისწყაროში გაუდაბნოების პრობლემა მწვავედ რომ დგას, ეს „შირაქის“ მკითხველმა კარგად იცის. მრავალი წელია ამ პრობლემასა თუ გატარებულ ღონისძიებებზე და სხვადასხვა კვლევებზე გიამბობთ. ამჯერად, კიდევ ერთი ახალი კვლევა გამოქვეყნდა, სადაც ჩანს, რომ ბოლო მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით წლიურმა ტემპერატურამ ყველაზე მეტად დედოფლისწყაროში მოიმატა. მხოლოდ დედოფლისწყაროში ფიქსირდება სხვა რაიონებთან შედარებით, 0,10 გრადუსით მაღალი მაჩვენებელი.

ბოლო 150 წლის განმავლობაში ადამიანის საქმიანობის გამო ატმოსფეროში სათბურის აირების რაოდენობის სწრაფმა მატებამ კლიმატის ცვლილების პროცესები დააჩქარა. შედეგად, 1880 წლიდან დღემდე დედამიწაზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 1 გრადუს ცელსიუსით გაიზარდა. კლიმატი შეცვლილია საქართველოშიც. 1986-2015 წლებში, წინა 30 წლიან პერიოდთან შედარებით, ჩვენი ქვეყნის უმეტეს რეგიონში საშუალო წლიური ტემპერატურა 0,25-0,58 გრადუსით, ზოგიერთ რაიონში 0,63-დან 0,73 გრადუსამდე იმატა. რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე ფიქსირდება. საქართველოს მასშტაბით 0,73 გრადუსიანი წლიური მატება მხოლოდ დედოფლისწყაროშია ნაჩვენები. ამიტომაცაა, რომ ზაფხულის გარდა, გვალვები ზამთარშიც აქტუალურია და ამის კონკრეტულ მაგალითებს ყოველწლიურად ვხედავთ. ასე მაგალითად, წელს ზამთარში თოვლი არ მოსულა, გემახსოვრებათ, პირველი თოვლი მარტის თვეში დაფიქსირდა. ანომალიური ამინდები კი მოსავლიანობის ხარისხზე აისახება და ადამიანებს აზარალებს. მარცვლეული კულტურების ნათესები სწორედ გაზაფხულის ნალექმა გამოასწორა, თორემ წელს გლეხები მარცვალს ვერ მოიმკიდნენ.



კლიმატის დათბობა იწვევს მყინვარების დნობას, მათი რაოდენობის შემცირებას. გვალვის, წყალმოვარდნებისა და წყალდიდობის, მეწყერის, ხანძრებისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების გახშირებას, მათი ინტენსივობის ზრდას. აქტიურდება გაუდაბნოების პროცესი, ტყის დეგრადაცია, სითბური ტალღების გახშირება და გახანგრძლივება. მეცნიერების ვარაუდით, თუ სითბური აირების გაფრქვევა ისეთივე ინტენსივობით გაგრძელდება, როგორც დღეს ხდება, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2041-2070 წლებში მოსალოდნელია საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდა 1,6-დან 3,0 გრადუსამდე. ხოლო 2071-2100 წლებში 2,1-დან 3,7 გრადუსამდე.

საქართველო, როგორც გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის, კიოტოს ოქმის და პარიზის შეთანხმების მხარე სახელმწიფო, ვალდებულია, გაითვალისწინოს ზემოხსენებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პრინციპები და განახორციელოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილით ნაკისრი ვალდებულებები. დედამიწის კლიმატური სისტემის კომპონენტების სიღრმისეულ ცვლილებას სათბურის აირების შეუფერხებელი გაფრქვევები იწვევს. გლობალური კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ გასული საუკუნის ბოლოდან დასავლეთ საქართველოში საშუალო ტემპერატურის მატებამ და ნალექების რეჟიმის ცვლილებამ ტყის ეკოსისტემაზე გარკვეული გავლენა იქონია. აღმოსავლეთ საქართველოში სითბური ტალღებისა და განსაკუთრებით ცხელი დღეების ფონზე გაზრდილია ტყის ხანძრების ინტენსივობა და მავნებლების გავრცელება. კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი ყველაზე ნეგატიური ზეგავლენა გამოიხატება გვალვის გახშირებაში, წყლის რესურსების კლებასა და მიწის დეგრადაციაში. საქართველოში კლიმატის ცვლილების გამოვლინება განსაკუთრებით მწვავედ აისახება სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, ენერგეტიკის და ეკონომიკის სექტორებზე. შესაბამისად, კლიმატის ცვლილება საფრთხეა ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნების განსახორციელებლად საქართველოში დაგეგმილია მრავალი მაღალბიუჯეტიანი პროექტი დონორი ორგანიზაციებისა და ქვეყნების მხარდაჭერით. პროექტები ხორციელდება დედოფლისწყაროშიც.

ილია მარტყოფლიშვილი

იმპორტირებული საზამთრო - სასარგებლო თუ საზიანო?

იმპორტირებული საზამთროს ნიმუშებში დასაშვებ ნორმაზე მეტი ნიტრატების შემცველობა გამოვლინდა.

სურსათის ეროვნული სააგენტო ბაზარზე განთავსებულ საზამთროს მთელი ქვეყნის მასშტაბით ამოწმებს. სააგენტოს ინსპექტორებმა, საბითუმო და სავაჭრო ობიექტებიდან იმპორტირებული საზამთროს ნიმუშები აიღეს და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოიკვლიეს. კვლევის შედეგებით, აღებული 12 ნიმუშიდან, ყველა მათგანში ნიტრატების ნორმა დასაშვებ ზღვარს აღემატება.

დარღვევებთან დაკავშირებით სააგენტომ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები განახორციელა. ბიზნესოპერატორს დაევალა სურსათის განთავსების აღკვეთა/ამოღება/განადგურება.

სააგენტო განაგრძობს ბაზარზე განთავსებული საზამთროს ნიმუშების აღებასა და კვლევას.

აგროქიმიკატებისა და პესტიციდების სარეალიზაციო ობიექტებში დარღვევები გამოვლინდა

აგროქიმიკატებისა და პესტიციდების სარეალიზაციო ობიექტების შემოწმების შედეგად, 40-მდე დარღვევა გამოვლინდა

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორები პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ამოწმებენ.

ლაბორატორიული კვლევის მიზნით, ინსპექტორები იღებენ პრეპარატების ნიმუშებსაც.

მიმდინარე წელს, აღებულია აგროქიმიკატების და პესტიციდების 190-მდე ნიმუში. წლის ბოლომდე, დაგეგმილია 380 ნიმუშის აღება.

ჩატარებული სახელმწიფო კონტროლის შედეგად, გამოვლინდა 40-მდე დარღვევა - ვადაგასული პრეპარატების რეალიზაცია, მარკირების წესისა და რეალიზაციის პირობების დარღვევა და სხვა, რაზეც სააგენტოს მიერ გატარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

უხარისხო, ვადაგასული და ფალსიფიცირებული პრეპარატების გამოვლენისა და ბაზრიდან ამოღების მიზნით, ყველა სარეალიზაციო ობიექტის შემოწმებაა დაგეგმილი.

„2030 წლამდე $3 მლრდ-ის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტს უნდა მივაღწიოთ“ -გიორგი ხანიშვილი

„პროგრამულად გაწერილია, რომ 2030 წლამდე საქართველოდან $3 მლრდ-ის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს უნდა მივაღწიოთ“ - ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ განაცხადა.

როგორც გელა ხანიშვილი განმარტავს, სახელმწიფო მაქსიმალურად ჩართულია, რათა ფერმერებმა შესაბამისი სერთიფიცირება გაიარონ და თითოეული ბაზრის მიკვლევადობის ეტაპები გაიარონ.

რაც შეეხება შეკითხვას, თუ რატომ არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის ძირითადი საექსპორტო ბაზარი რუსეთი და რამდენად აკმაყოფილებენ მეწარმეები ევროპის ბაზრისთვის შესაბამის ხარისხს, ხანიშვილი ასე პასუხობს:

„პროგრამულად გაწერილი გვაქვს, რომ საქართველოდან წელს სამი მილიარდი დოლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს მივაღწიოთ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რათა ფერმერებმა შესაბამისი სერთიფიცირებისა და ეტაპების გავლით თითოეულ ბაზარზე ხელმისაწვდომობა გაზარდონ. ქვეყანა ევროპაში ყველაფერს ყიდის, მათ შორის, ატამს, ალუჩას.. თუმცა ექსპორტი იმ ქვეყნებში ხორციელდება, რომელიც მაღალ ფასს იხდიან. მაგალითად, დღეს ევროპაში მოცვის ღირებულება 2-3 ევროა, როცა რუსეთში ფასი 9-10 დოლარიდან იწყება. ამიტომ ნებისმიერი ექსპორტიორი დაინტერესებულია იმ ბაზრით, რომელიც მის პროდუქტს მაღალ ფასში იყიდის,“ - განმარტავს ხანიშვილი.

მისი თქმით, 2021 წელს ექსპორტზე მილიარდ 142 მლნ დოლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი გავიდა.

ფემიციდის კიდევ ერთი ფაქტი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1957 წელს დაბადებული ზ.ვ. ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული განზრახ მკვლელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულს მიმდინარე წლის 8 ივლისს შელაპარაკება მოუვიდა მეუღლესთან -1964 წელს დაბადებულ ლ.ზ.-სთან, რის შედეგადაც ზ.ვ.-მ ბლაგვი საგნით თავის არეში დაზიანება მიაყენა მას.

მიყენებული დაზიანების შედეგად, ლ.ზ. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი ცხელ კვალზე დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებადაა ამოღებული. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის “კ” ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ხსოვნა

არსენ ისიდორის ძე ყოჩიაშვილი

ჩვენო საყვარელო არსენა პაპა, 10 ივლისს ხუთი წელი სრულდება შენი გარდაცვალებიდან, ჩვენ ყოველთვის ვამაყოფდით შენით სიცოცხლეშიც და კვლავაც ვამაყობთ შენი გარდაცვალების შემდეგაც. დედოფლისწყაროს შემოსავლელს ამშვენებს შენს მიერ გაკეთებული ნინოს ჯვარი...

გაზეთ „შირაქის“ რედაქტორმა ქალბატონმა ნაირამ ვრცელი წერილი დაწერა გაზეთ „შირაქში“, რომლის პირველ გვერდზე შენი ახალგაზრდობის ფერადი ფოტოსურათი არის აღბეჭდილი. ამ გაზეთს სათუთად ვინახავთ, მისმა წერილმა ერთიწლით გაგიხანგრძლივა სიცოცხლე .

გული გვწყდება, რომ არც დედის მხრიდან და არც მამის მხრიდან პაპები აღარ გვყავს, ძალიან გვაკლიხართ და გვენატრებით. მურთაზი პაპის ტრაგიკული გარდაცვალებიდან 20 ივნისს 38 წელი შესრულდა, მას მხოლოდ სურათებით ვიცნობდით, დედა 7 წლის იყო, მამით რომ დაობლდა, მაგრამ დღესაც გულს უკოდავს მამითობლობა.

არსენა პაპა! მთელი რაიონი ასე გიცნობდა: კაცი პატიოსანი! კაცი უღალატო! კაცი პატრიოტი! გონება ნათელი! მსოფლიო და ქართველი კლასიკოსი შემოქმედების უბადლო მკითხველი! საუკეთესო თამადა! საუკეთესო მეუღლე, მამა და პაპა! და რაც მთავარია მაღალპროფესიონალი შემდუღებელი, მიცვალებულის ჯვრის გაკეთებაში არასოდეს ფული არავისთვის არ გამოურთმევიაო ამბობდა ციცო ბებო...

პაპა 10 ივლისს შენი ოჯახის წევრები და ახლობლები მოვალთ სასაფლაოზე. თაფლის სანთელს დაგინთებთ, ჭიქა ღვინოს წაგიქცევთ და შენი საყვარელი პოეტის რეზო ამაშუკელის ლექსებს წაგიკითხავთ, რომლის ხსოვნის საღამო 10 მაისს გაიმართა მწიგნობართა ასოციაციის, (რომლის წევრიც იყავით) თაოსნობით მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

დიდი სიყვარულით:,
შენი შვილიშვილები: არსენა და დათო ყოჩიაშვილები

სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები: ნანა აფციაური, მაყვალა ჯორკოშვილი, ივერი ჭუჭულაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი, ზურა თეთვაძე, მერაბ ფიროსმანაშვილი, ჯემალ კვანჭილაშვილი, კაკო სამუკაშვილი, ავთო ჯანაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს და მარიკა პოპიაშვილს რძლის და ბიცოლას, ღვაწლმოსილი პედაგოგის, კდემამოსილი ქალბატონის

ლამარა მატიაშვილის

გარდაცვალების გამო.

„ბერიკონის“ „კუკარაჩა“

დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებულმა ახალგაზრდულმა თეატრმა „ბერიკონი“ მორიგი სპექტაკლის პრემიერა გამართა. ამჯერად, რეჟისორმა ცარო მარტიაშვილმა მაყურებელს ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა“ შესთავაზა. სპექტაკლის დაწყებამდე ითქვა, რომ თეატრი დედოფლისწყაროში 2013 წელს აღდგა და ეს „ბერიკონისთვის“ მეცხრე წელია. სპექტაკლში ძირითადად ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები იყვნენ წარმოდგენილნი. გასულ წელს „ბერიკონი“ პირველი იყო, რომელმაც პანდემიის გამო დიდი ხნით დადუმებული სცენა აახმაურა და ცარო მარტიაშვილის საიუბილეო საღამოსთან ერთად სპექტაკლის პრემიერა გამართა. „ბერიკონი“ შემოქმედებით წრეებს შორის, ასევე ,პირველი იყო, რომელმაც სასწავლო პროცესი განაახლა.

როგორც კულტურის სახლის ხელმძღვანელმა, ცარო მარტიაშვილმა დასაწყისშივე აღნიშნა, მომავალ წელს „ბერიკონი“ 10 წლის გახდება და მრგვალი თარიღისთვის საგანგებოდ ემზადებიან. ის მაყურებელს პირდება, რომ ყველა თაობის „ბერიკონელი“ სცენას ისევ დაუბრუნდება და ერთიანი ძალებით საინტერესო საღამოს გეგმავენ.

პირველი, რაც თვალშისაცემი იყო, ახალგაზრდა მსახიობების ოსტატობა, არტისტიზმი ბევრად დახვეწილი და უფრო ბუნებრივი იყო. განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ მთავარი როლების შემსრულებლები. წინა წლებისგან განსხვავებით, ისინი სცენაზე თავს ბევრად ლაღად გრძნობდნენ და ეს მაყურებელმაც შენიშნა.

ნოდარ დუმბაძის კარგად ნაცნობი სცენები ადგილობრივმა ბავშვებმა გაიცოცხლეს და კიდევ ერთხელ დაგვაფიქრეს იმ პრობლემებზე, რასაც დუმბაძემ ამ ნაწარმოებში გაუსვა ხაზი. რეჟისორი ცარო მარტიაშვილი ფიქრობს, რომ „კუკარაჩაში“ ნაჩვენები პრობლემები დღესაც აქტუალურია და სწორედ ამ ნიშნით გადაწყვიტა მისი დედოფლისწყაროში დადგმა.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ, ტრადიციულად, მთავარი როლების შემსრულებლების გაცილების ცერემონია შედგა. სკოლის დამთავრების გამო მსახიობებს თეატრის დატოვებაც უწევთ, რის გამოც ახალგაზრდული თეატრი თაობათა ცვლას განიცდის. ამჯერად, „ბერიკონი“ კუკარაჩას შემსრულებელს ივერი სეხნიაშვილსა და დედის როლის შემსრულებელს ნანუკა ნაროზაულს დაემშვიდობა. დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრისგან მათ მადლობის სიგელი და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

ცარო მარტიაშვილი: **„ეს ისეთი მომენტია, როცა ყოველთვის ცრემლი მომდის, ისინი ემშვიდობებიან სცენას. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის ხანგრძლივი პერიოდი გავიარეთ, სხვადასხვა შეზღუდვების მიუხედავად, ნანუკა ნაროზაულს 4 როლი აქვს შესრულებული. ივერისთვის, ეს მეორე და საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი იყო. მინდა გითხრათ, მათ სულ მთავარი როლები ჰქონდათ. ამ ორი ახალგაზრდის სახით ჩვენ სამომავლოდ დიდ ძალას ვკარგავთ, მაგრამ მე ერთის იმედი მაქვს: „კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი!“**

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რა გამოცდილებას აძლევს „ბერიკონი“ დედოფლისწყაროელ მოზარდებს, რამდენად ნაყოფიერია დასში გატარებული წლები და როგორია რეჟისორთან მუშაობა. სამუშაო პროცესის ნიუანსებზე და სირთულეებზე „შირაქი“ „ბერიკონის“ კურსდამთავრებულებს ესაუბრა:

ნანუკა ნაროზაული: „მანამდე ჩემი უფროსი ძმა დადიოდა „ბერიკონში“ და ყოველთვის მინდოდა მეც მეცადა. როდესაც ვხედავდი სცენაზე მას და დანარჩენ ბავშვებს, როგორ კარგად ასრულებდნენ როლებს, ცხადია მეც სურვილი მიჩნდებოდა იქ ვმდგარიყავი და მათსავით კარგად შემესრულებინა როლები. ჩემი პირველი სპექტაკლი იყო „ერთი მზის შვილები“, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ბოშა თანატოლები. ისინი ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაში სწავლობდნენ, სადაც მეც ვსწავლობდი. სპექტაკლი ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროექტის ფარგლებში დაიდგა და ამიტომ, სხვა მონაწილეებიც ამავე სკოლოდან უნდა ყოფილიყვნენ. 2018 წელს ერთერთ მსახიობად მეც ამარჩიეს. აქედან დაიწყო ჩემი მოღვაწეობა თეატრში, ცაროსთან. „ბერიკონმა“ და ამ ჯგუფთან მუშაობამ მასწავლა, თუ რაოდენ საპასუხისმგებლოა სცენაზე დგომა, ამდენი ხალხის წინაშე წარდგენა. ავითვისეთ როლის შესრულების ტექნიკა. ჩემი ბოლო სპექტაკლი იყო „კუკარაჩა“, სადაც ანიკოს, დედის როლი შევასრულე. სიმართლე გითხრათ, რთული როლი აღმოჩნდა ჩემთვის, რადგან არ არის ადვილი იყო დედა. ძალიან დიდი ენერგია ჩავდე იმისათვის, რომ ეს როლი კარგად შემესრულებინა და რეჟისორის ნდობა გამემართლებინა. ცარო საუკეთესო ადამიანია, მთელ ენერგიას დებს სპექტაკლებში. სამუშაო პროცესიც რომ გავიხსენო, ყველამ იცის, როგორი მკაცრია. რეპეტიციებზე ხშირად გვტუქსავდა, მაგრამ უმიზეზოდ არასოდეს... ძალიან ემოციურია, პრემიერის წინ, ყოველთვის, ყველა სპექტაკლზე ნერვიულობდა, განიცდის ხოლმე, როგორ ჩაივლის წარმოდგენა. მაგრამ, ამ ნერვიულობას არასოდეს გვაჩვენებდა. ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი იმედი ჰქონდა და სჯეროდა, შევძლებდით. ზოგადად, ბევრს შრომობს იმისათვის, რომ კარგი შედეგი ვაჩვენოთ. თითოეულ მსახიობს თავის როლს კარგად აცნობდა და დეტალურად უხსნიდა, როგორ შეესრულებინა, რაც თავისთავად, გამოუცდელ მოზარდებსაც გვიადვილებდა როლის მორგებას“.

ივერი სეხნიაშვილი: „განცდისგან მაკანკალებს-მეთქი, მოვიტყუები, რადგან სცენა ბავშვობიდან მომყვება - ალექსანდრე გაბრიელაშვილმა ცეკვა რომ შემაყვარა, ვგრძნობდი სწორად ვიზრდებოდი. განსაკუთრებული ურთიერთობები მიყალიბდებოდა უფროსებთან, უმცროსებთან. ვიყავი დამოუკიდებელი, ამაყი და მართალი ბავშვი. დიდ სიამოვნებას მგვრიდა მათთან დგომა, აზრთა გაზიარება, მათი მხრიდან შეფასება. პარალელურად ფეხბურთზეც შევედი, გუნდურობის განცდა და ერთი მიზნისთვის თამაში ისე ბუნებრივად ჩაჯდა ჩემს სულში, რომ დღესაც სიამოვნების ჟრუანტელს მგვრის. მოგვიანებით გამომეცხადა თეატრი. დამინახა საოცრად ნიჭიერმა ქალბატონმა ცარო მარტიაშვილმა და თეატრ „ბერიკონში“ მიმიწვია. ჩემი პირველი სპექტაკლი დუმბაძის მოთხრობების მიხედვით „ერთი მზის შვილები“ იყო და მეორე, ამავე ავტორის „კუკარაჩა“, ორივე სპექტაკლში მთავარი როლი შევასრულე. თუ არ გამოცდით, ვერ მიხვდებით, ისე შევსისხლხორცდი როლებთან, რომ მათგან დღესაც ვერ გამოვდივარ. სწორედ აქ ჩანს ცარო მასწავლებლის ნიჭი. ასევე ვიტყვი, ის რეჟისორული, თანმიმდევრული აზარტი, რომელიც თითოეულ ბავშვზე ამუშავა და კარგადაც მოიმკო. იმას აღარ ავხსნი, თუ როგორია სცენის მტვრის სუნი.... რა მომცა „ბერიკონმა“? პირველ რიგში შევიძინე დიდი პასუხისმგებლობის უნარი, სხვის ხასიათში და ბუნებაში შესვლა, ანუ პერსონაჟის ხასიათის გახსნა, გონიერება, გამჭრიახობაც, ცხოვრებისეული სიბრძნე. ისე თბილად მბურძგლავს ტაში, ემოციები მაქვს, ენა ვერ იტყვის. თითქოს სხვა სამყაროში ვცურავდე. მადლიერი ვარ „ბერიკონის“ და კიდევ ერთხელ, ცარო მასწავლებლის, რათა მან მომცა ჩემი თავის რეალიზების შანსი“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყაროს მერი): „დუმბაძე გენიალურია, დედოფლისწყაროსთვის ცაროც შეუცვლელია და მინდა, კიდევ ერთხელ, ტაშით დავაჯილდოვოთ. ყურადღებით გიყურებდით, მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ბავშვები ძალიან ნიჭიერები არიან და ამ სცენაზე ამის არაერთი მაგალითი გვქონია. ბოლო წლებში დაახლოებით ხუთი თაობა გავაცილეთ ამ თეატრიდან, მაგრამ შორს არსად წასულან, სტუდენტები გახდნენ და დედაქალაქში სწავლას ეუფლებიან. მათგან ზოგი გაჰყვება ხელოვნებას, ზოგიც არა, მაგრამ აქ მიღებული გამოცდილება ცხოვრებაში ძალიან გამოადგებათ. დარწმუნებული ვარ, ყველა მათგანი ღირსეულ ადამიანად ჩამოყალიბდება, მშობლიურ რაიონში დაბრუნდება და დედაქალაქში დაგროვილ გამოცდილებას დედოფლისწყაროს განვითარებას მოახმარს. გილოცავთ ბავშვებო კიდევ ერთ პრემიერას, მომავალშიც წარმატებებს და ბევრ საინტერესო სპექტაკლში მონაწილეობას გისურვებთ. რომ ვაკვირდები, ერთმანეთზე საუკეთესო თაობა მოდის. ეს იმის იმედს და ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს, რომ ჩვენი ხვალინდელი დღე ბევრად უკეთესი იქნება, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე ჩვენს მუნიციპალიტეტში. დიდი მადლობა ყველას!“

საღამო დაასრულა მომავლის ბერიკონელების სადებიუტო გამოსვლამ. პატარა თაობამ, რომელთაც სამომავლოდ ეს სცენა უნდა დაიკავონ და სხვადასხვა როლები მოირგონ. მათ, საოცარი ოსტატობით, ახლავე დაგვიმტკიცეს, რომ რეჟისორის მიერ მათთვის შერჩეულ როლებს მომავალშიც კარგად მოერგებიან და ღირსეულად გააგრძელებენ წინამორბედების გზას.

პ.ს. ***გასულ წელს, მერიისა და კულტურის ცენტრის გადაწყვეტილებით, ცარო მარტიაშვილის საიუბილეო საღამოზე დედოფლისწყაროს ისტორიაში უპრეცედენტო ინიციატივა გაჟღერდა. დაიდო პირობა, კულტურის სახლის წინ ცარო მარტიაშვილის სახელობითი ვარსკვლავის გახსნის შესახებ. ვარსკვლავი შარშანვე დამზადდა, თუმცა, პანდემიის გამო გახსნის ცერემონია ამ დრომდე ვერ შედგა. ინიციატორები გვპირდებიან, რომ კულტურის დამსახურებული მოღვაწის ვარსკვლავი მალე გაიხსნება.***

ილია მარტყოფლიშვილი

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 11.07		სამშაბათი 12.07		ოთხშაბათი 13.07		ხუთშაბათი 14.07		პარასკევი 15.07		შაბათი 16.07		კვირა 17.07	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
30°	21°	32°	21 °	30 °	21 °	31 °	21 °	32°	20 °	33°	22 °	33 °	23 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.